



საქართველოს პარლამენტის დადგენილება

თეა ჯუღელის საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად არჩევის შესახებ

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 219-ე მუხლის პირველი და მე-17 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. არჩეულ იქნეს თეა ჯუღელი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

ზვიად ძიძიგური

ქუთაისი,
2015 წლის 12 ნოემბერი.
№4541 – II